

**საქართველოს კანონი
„საჯარო რეესტრის შესახებ“, საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41, 30.12.2008, მუხ. 298) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეგისტრაციის შედეგად მარეგისტრირებელი ორგანო ამზადებს ამონაწერს, ხოლო უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებადაურეგისტრირებელ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების, ასევე საკადასტრო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციისას – დამატებით საკადასტრო გეგმას. ეს წესი არ ვრცელდება საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის და მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შემთხვევებზე”.

2. კანონის 11-ე მუხლს დაემატოს 4¹-ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4¹. შეზღუდული უფლება რეგისტრირდება შესაბამის შეზღუდვასთან/ვალდებულებასთან ერთად”.

3. კანონის 31-ე მუხლს პირველ პუნქტს დაემატოს „კ„ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„კ) სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოდ ან/და დისტრიბუტორად რეგისტრაცია – 1 სამუშაო დღის ვადაში – 15 ლარი”.

4. კანონის 33-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“, „ლ“ და „მ“, ქვეპუნქტები:

„კ) სახელმწიფო, იმ მეწარმე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების, მათი შეწყვეტის რეგისტრაციის, აგრეთვე ამონაწერის ან ინფორმაციის მომზადების მოთხოვნის შემთხვევაში, სადაც იგი წარმოდგენილია პარტნიორის/დამფუძნებლის სახით.“

„ლ) მეწარმისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იურიდიული მისამართის ცვლილების რეგისტრაცია, თუ ის რეგისტრირებულია კანონმდებლობით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.“

„მ) მეწარისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება სისიხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლოს აქტის საფუძველზე.“

5. კანონის 34-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ვ„ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ვ) თუ მოთხოვნილია ისეთი მომსახურება, რომელიც არ განეკუთვნება სააგენტოს კომპეტენციას“.

6. კანონის 35-ე მუხლს დაემატოს მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულ იმ უფლებებთან დაკავშირებით რომლებზედაც მარეგისტრირებელ ორგანოში არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მესაკუთრის/მოვალის ან კრედიტორის/მოსარგებლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია (ინფორმაცია), დაინტერესებული პირები ვალდებული არიან 2010წ. 1 მაისამდე წარმოადგინონ იდენტიფიკაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია. მოცემული ვადის გაშვება არის მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ამ მოძრავ ნივთზე და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების რეგისტრაციის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი“.

მუხლი 2. ეს კანონი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი